1965/3
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!


# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 25 (294) 14 სექტემბერი 1965 წელი


585/3
(12)

## შინაარსი

### ნაწილი I

### განყოფილება პირველი


493. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. კ. სიტნინის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

494. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა სადისციპლინო წესდების 61-ე მუხლის შევსების შესახებ.

495. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო დღის“ ყოველწლიური დღესასწაულის დაწესების შესახებ.


### განყოფილება მეორე


496. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ვ. ტროფიმოვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

497. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. სოლდატოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

498. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ე. კ. კატულსკაიასათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

499. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ე. ა. სატელისათვის სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

500. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს ა. ნ. ბელოზიორსკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

501. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. იშკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

502. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ვ. ს. ანანიანის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

503. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა სახვითი ხელოვნების მოღვაწეებისათვის სსრ კავშირის სახალხო მხატვრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

504. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ა. [illegible]სათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

505. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კომპოზიტორ ი. ა. ივანოვისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
506. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ი. მ. კუზმინსკისისათვის სსრ კავშირის სახალხო მხატვრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
507. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ე. გუსევის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
508. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ნ. ა. სვეტლოვიდოვისათვის (სედიხისათვის) სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო ;ოდების მინიჭების შესახებ.

## განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს რწმუნების სიგელები გადასცა ურუგვაის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ვირხილიო სამპონიარომ.

საინფორმაციო ცნობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ბრაზილიის შეერთებულ შტატებს შორის დადებული სავაჭრო და საგადასახდელო შეთანხმების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

# ნაწილი II

## განყოფილება პირველი

509. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების შესახებ დებულებაში“ ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.
510. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სოფლად მცხოვრები მოსწავლეების უფასოდ მგზავრობის შესახებ.
511. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ სამართლებრივი აქტების გამოცემის დროს კანონიერების დაცვის შესახებ.
512. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა დეპუტატებთან და მუდმივ კომისიებთან ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და სიღნაღის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების მუშაობის შესახებ.

## განყოფილება მეორე

513. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ა. ს. მენაბდისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
514. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
515. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. დ. ჩუბინიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
516. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
517. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. გ. სოხაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილი I

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 493 ამხ. ვ. კ. სიტნინის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ვლადიმერ ქსენოფონტეს ძე **სიტნინი** სსრ კავშირის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ა. მიქოიანი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 27 აგვისტო.

№ 3866-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 494 სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა სადისციპლინო წესდების 61-ე მუხლის შეცვლის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 23 აგვისტოს ბრძანებულებით დამტკიცებული („სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები", 1960 წ., № 34, მუხ. 325) სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა სადისციპლინო წესდების 61-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეებს იმ უფლებათა გარდა, რომლებიც მინიჭებული აქვთ სამხედრო ოლქის ჯარების, ფრონტის სარდლებს, ფლოტის სარდალს, უფლება აქვთ:

ა) ჩამოუქვეითონ სამხედრო წოდება პოდპოლკოვნიკს და ნაკლები სამხედრო წოდების მქონე ოფიცრებს;

ბ) ჩამოუქვეითონ თანამდებობა პოლკის მეთაურს, ხომალდის I რანგის მეთაურს, მათი შესატყვისი და ნაკლები თანამდებობის მქონე პირთ".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ა. მიქოიანი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 28 აგვისტო.

№ 3867-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 495 „ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო დღის" ყოველწლიური დღესასწაულის დაწესების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაწესდეს დღესასწაული „ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო დღე".

„ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო დღის" დღესასწაული მოეწყოს ყოველწლიურად სექტემბრის პირველ კვირადღეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 28 აგვისტო.

№ 3869-VI.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 496 ამხ. ვ. ვ. ტროფიმოვის „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით რუსეთის სფს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ამხ. ვლადიმერ ვასილის ძე **ტროფიმოვი** დაჯილდოვდეს „საპატიო ნიშნის" ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 25 აგვისტო.

№ 3864-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 497 ამხ. ა. ა. სოლდატოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დიპლომატიურ სამუშაოზე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით დიდ ბრიტანეთს წარგზავნილი სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამხ. ალექსანდრე ალექსის ძე **სოლდატოვი** დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 28 აგვისტო.

№ 3868-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 498 ე. კ. კატულსკაიასათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების დარგში დიდი დამსახურებისათვის მიენიჭოს სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის მოსკოვის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორს ელენა კლიმენტის ასულ კატულსკაიას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 28 აგვისტო.
№ 3870-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 499 პროფესორ ე. ა. სატელისათვის სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მანქანათმშენებლობის განვითარებაში, საინჟინრო და სამეცნიერო კადრების მომზადებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და დაბადების ოთხმოცი წელთან დაკავშირებით ნ. ე. ბაუმანის სახელობის მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის პროფესორს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს ედუარდ ადამის ძე სატელს მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 28 აგვისტო.
№ 3871-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 500 აკადემიკოს ა. ნ. ბელოზიორსკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ბიოლოგიური მეცნიერების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით აკადემიკოსი ანდრია ნიკოლოზის ძე ბელოზიორსკი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 28 აგვისტო.
№ 3872-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 501 ამხ. ა. ა. იშკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მინისტრი ალექსანდრე აკიმის ძე **იშკოვი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 28 აგვისტო.
№ 3873-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 502 მწერალ ვ. ს. ანანიანის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მწერალი ვახტანგ სტეფანეს ძე **ანანიანი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 30 აგვისტო.
№ 3874-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 503 საბჭოთა სახვითი ხელოვნების მოღვაწეებისათვის სსრ კავშირის სახალხო მხატვრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა სახვითი ხელოვნების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოთ **სსრ კავშირის სახალხო მხატვრის** საპატიო წოდება:

1. ვასილ პროკოფის ძე **ეფანოვს** — სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილ წევრს.
2. იური მიხეილის ძე **ნეპრინცევს** — სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტს.
3. იაკობ დოროთეს ძე **რომასს** — სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილ წევრს.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 30 აგვისტო.
№ 3875-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 504 ა. ე. ვილცინისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა ქორეოგრაფიული ხელოვნების დარგში დიდი დამსახურებისათვის მიენიჭოს **სსრ კავშირის სახალხო არტისტის** საპატიო წოდება აუსმა ეინის ასულ **ვილცინს** — ლატვიის სსრ სახელმწიფო აკადემიური ოპერისა და ბალეტის თეატრის ბალეტის სოლისტს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 30 აგვისტო.
№ 3876-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 505 კომპოზიტორ ი. ა. ივანოვისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების დარგში დიდი დამსახურებისათვის მიენიჭოს **სსრ კავშირის სახალხო არტისტის** საპატიო წოდება კომპოზიტორ იანის ანდრიას ძე **ივანოვს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 30 აგვისტო.
№ 3877-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 506 ი. მ. კუზმინსკისისათვის სსრ კავშირის სახალხო მხატვრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა სახვითი ხელოვნების დარგში დიდი დამსახურებისათვის მიენიჭოს **სსრ კავშირის სახალხო მხატვრის** საპატიო წოდება იონას მიკოლო **კუზმინსკისს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 30 აგვისტო.
№ 3878-VI.

ბიბლიოთეკა

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 507 ამხ. ვ. ე. გუსევის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტის რექტორი ვლადიმერ იაგორის ძე **გუსევი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 31 აგვისტო.

№ 3880-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 508 ნ. ა. სვეტლოვიდოვისათვის (სედიხისათვის) სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის მიენიჭოს **სსრ კავშირის სახალხო არტისტის** საპატიო წოდება ნიკოლოზ ათანასეს ძე **სვეტლოვიდოვს** (სედიხს) — სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრის მსახიობს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 31 აგვისტო.

№ 3881-VI.

# განყოფილება მესამე

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს რწმუნების სიგელები გადასცა ურუგვაის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ვირხილიო სამპონიარომ

საბჭოთა კავშირს ჩამოსულმა ურუგვაის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ვირხილიო სამპონიარომ 21 აგვისტოს კრემლში თავისი რწმუნების სიგელები გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს.

ელჩს ახლდა საბჭოთა კავშირში ურუგვაის საელჩოს პირველი მდივანი რ. პირისი.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ა. ი. მიქოიანსა და ვირხილიო სამპონიაროს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ლ. თ. ილიჩოვმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საინფორმაციო ცნობა

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ბრაზილიის შეერთებულ შტატებს შორის დადებული სავაჭრო და საგადასახდელო შეთანხმების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და ბრაზილიის შეერთებული შტატების რესპუბლიკის პრეზიდენტმა, რომლებიც კმაყოფილებით აღნიშნავენ ორი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობის ხელსაყრელ განვითარებას, მოსურნენი არიან მეგობრობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით განავითარონ ეს ურთიერთობა და ეკონომიური თანამშრომლობა, დაფუძნებული თანასწორობისა და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპებზე, 1963 წლის 20 აპრილს რიო-დე-ჟანეიროში დადეს სავაჭრო და საგადასახდელო შეთანხმება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შეთანხმების რატიფიკაცია მოახდინა 1965 წლის 27 იანვარს; ბრაზილიის შეერთებული შტატების რესპუბლიკის პრეზიდენტმა — 1965 წლის 20 თებერვალს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა მოსკოვში 1965 წლის 14 აპრილს.

შეთანხმება დროებით ძალაში შევიდა მისი მოწონების ნოტების გაცვლის დღიდან და საბოლოოდ — სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის მომენტიდან.

შეთანხმების ტექსტი გამოქვეყნებულია 1965 წლის 2 სექტემბრის № 34 „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში".

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

თევზჭერისა და ახლადგაყინული თევზის პროდუქციის წარმოებაში მაღალ მაჩვენებელთა მოპოვებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 31 აგვისტოს ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა შორეული აღმოსავლეთის აუზის თევზის მრეწველობის მთავარი სამმართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი დიდი გამყინავი თევზსაჭერი ტრაულერის „ნიკოლოზ ოსტროვსკის" გემის ეკიპაჟის 15 წევრი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია კაპიტან-დირექტორი პ. ა. რიაზანოვი; შრომის წითელი დროშის ორდენით — კაპიტან-დირექტორის პირველი თანაშემწე ნ. გ. ჟურავლიოვი, უფროსი მექანიკოსი ა. ე. კრუკი; „საპატიო ნიშნის" ორდენით — მატროსი ა. თ. მორდანოვი და კაპიტან-დირექტორის თანაშემწე წარმოების დარგში ვ. ა. მოროზოვი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის" დაჯილდოებულია 5 კაცი, მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" — 5 კაცი.

ბრძანებულება გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში".

ბიბლიოთეკა

# ნაწილი II

## განყოფილება პირველი

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 509 „საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების შესახებ დებულებაში“ ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

ადვოკატთა კოლეგიების საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

შეტანილ იქნეს „საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების შესახებ დებულებაში“ შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. მუხლი 1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1.** საქართველოს სსრ კონსტიტუციის 125-ე მუხლისა და საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოში დაცვის განხორციელების მიზნით, აგრეთვე მოქალაქეებისათვის, საწარმოებისათვის, დაწესებულებებისა და რესპუბლიკის სხვა ორგანიზაციებისათვის იურიდიული დახმარების გასაწევად მოქმედებენ საქართველოს სს რესპუბლიკის, აფხაზეთის ასს რესპუბლიკისა და აჭარის ასს რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიები“.

2. მე-5 მუხლის „დ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) სასამართლოსა და არბიტრაჟში სამოქალაქო საქმეების განხილვაში მონაწილეობით მოქალაქეთა და საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა დავალებით, აგრეთვე მოქალაქეთა, საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და ორგანიზაციების დავალებით კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციულ ორგანოებში წარმომადგენლობის გზით“.

3 მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 6.** ადვოკატურის საქმიანობის ხელმძღვანელობას და კონტროლს რესპუბლიკაში ახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია:

ა) ამოწმებს ადვოკატთა კოლეგიების პრეზიდიუმების და იურიდიული კონსულტაციების საქმიანობას, აგრეთვე ცალკეული ადვოკატების მუშაობას და ისმენს მათი საქმიანობის ანგარიშს;

ბ) ახორციელებს კონტროლს ადვოკატთა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისადმი;

გ) გარიცხავს ადვოკატურიდან იმ პირებს, რომლებიც თავიანთი მორალური და საქმიანი თვისებების მიხედვით არ არიან ღირსნი იყვნენ ადვოკატურაში;

დ) აწყობს ადვოკატთა ატესტაციას საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით;

მეხ. 509
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ე) ამტკიცებს ადვოკატთა კოლეგიების რიცხობრივ შემადგენლობას;

ვ) გამოიყენებს წახალისებისა და დისციპლინური სასჯელის ზომებს კოლეგიების პასუხისმგებელი მუშაკებისა და ადვოკატების მიმართ;

ზ) განაზოგადებს ადვოკატთა კოლეგიების მუშაობის პრაქტიკას და ავრცელებს ადვოკატთა კოლეგიების პრეზიდიუმების, იურიდიული კონსულტაციებისა და ცალკეული ადვოკატების მუშაობის დადებით გამოცდილებას;

თ) განიხილავს ადვოკატთა საჩივრებს დისციპლინურ საქმეებზე და უფლება აქვს გააუქმოს მათ შესახებ მიღებული გადაწყვეტილებანი;

ი) გამოსცემს ინსტრუქციებსა და სხვა აქტებს ადვოკატურის საქმიანობის საკითხებზე".

4. დაემატოს დებულებას შემდეგი შინაარსის მუხლი 6-ა:

„**მუხლი 6-ა.** აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი კომიტეტი:

ა) ამოწმებენ ადვოკატურის საქმიანობას;

ბ) ანგარიშს ისმენენ და მითითებებს აძლევენ ადვოკატთა კოლეგიების მუშაობის გასაუმჯობესებლად;

გ) ამტკიცებენ იურიდიული კონსულტაციების დისლოკაციას;

დ) წინადადებანი შეაქვთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიაში იმ საკითხების შესახებ, რომლებიც მის კომპეტენციას მიეკუთვნება".

5. მუხლი მე-9 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 9.** ადვოკატთა კოლეგიაში წევრად მიღება, აგრეთვე კოლეგიიდან გათავისუფლება და გარიცხვა წარმოებს კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ.

განცხადებას კოლეგიაში მიღების შესახებ პრეზიდიუმი განიხილავს განმცხადებლის თანდასწრებით, არა უგვიანეს ერთი თვისა განცხადების შეტანის დღიდან.

ადვოკატთა კოლეგიის წევრად მიღების ყოველ შემთხვევას ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი შვიდი დღის ვადაში აცნობებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას უფლება აქვს წევრად მიღების შესახებ ცნობის მიღების დღიდან ერთი თვის განმავლობაში გაათავისუფლოს ადვოკატურიდან ის პირი, რომელიც მიღებულია ადვოკატთა კოლეგიების დებულების დარღვევით".

6. მე-10 მუხლს სიტყვა „მორალურის" შემდეგი დაემატოს სიტყვები: „და საქმიანი".

7. მე-11 მუხლში სიტყვა „ამორიცხვა" შეიცვალოს სიტყვით: „გათავისუფლება". ამავე მუხლის „ა" პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „საკუთარი".

8. მუხლი მე-12 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 12.** ადვოკატებს, რომლებიც გასული არიან ადვოკატთა კოლეგიიდან არჩევით თანამდებობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, უფლება აქვთ არჩევით თანამდებობაზე მუშაობის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდნენ შესაბამის ადვოკატთა კოლეგიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის დადგენილებით ადვოკატი შეიძლება გადაყვანილ იქნეს თანახმად მისი თხოვნისა საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქმედ ადვოკატთა ერთი კოლეგიიდან მეორეში გადაყვანისას ადვოკატს შეუნარჩუნდება უწყვეტი სამუშაო სტაჟი".

9. მუხლი მე-13 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 13.** კოლეგიის წევრად მიღებაზე უარის თქმის ან კოლეგიიდან გათავისუფლების შესახებ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის დადგენილების გასაჩივრება შეიძლება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიაში დადგენილების გამოტანის დღიდან ერთი თვის ვადაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას შეუძლია გააუქმოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის დადგენილება კოლეგიის წევრად მიღებაზე უარის თქმის ან კოლეგიიდან გათავისუფლების შესახებ, ან გადასცეს საჩივარი ხელახალი განხილვისათვის.

საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ იურიდიული კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა".

10. მე-14 მუხლის მეორე აბზაცში სიტყვების შემდეგ „მეცნიერულ სამუშაო" სიტყვა „და" შეიცვალოს სიტყვით „აგრეთვე" და ამავე მუხლში სიტყვების „არა აქვს" შემდეგ ჩაიწეროს „სრული".

11. მუხლი მე-15 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 15.** ადვოკატი მოვალეა მთელ თავის საქმიანობაში მტკიცედ დაიცვას საბჭოთა კანონები, კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა, გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება და ხერხი, რათა დაიცვას მოქალაქეთა, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების უფლებები და კანონიერი ინტერესები, იყოს უმწიკვლო ყოფაქცევის მაგალითი.

ადვოკატი მოვალეა მიიღოს აქტიური მონაწილეობა საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდაში, დახმარება გაუწიოს ამხანაგურ სასამართლოებსა და ნებაყოფლობით სახალხო რაზმებს".

12. მე-16 მუხლის „ბ" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) თუ იგი ადრე ამა თუ იმ საქმეში მონაწილეობდა, როგორც მოსამართლე, გამომძიებელი, პროკურორი, მომკვლევი პირი, ექსპერტი, მოწმე, თარჯიმანი, თანამოწმე ან სასამართლო სხდომის მდივანი".

13. მე-20 მუხლში სიტყვის „დავალებისაგან" ნაცვლად ჩაიწეროს სიტყვები „დავალების შესრულებაზე".

14. 23-ე მუხლს სიტყვის „განხილვაში" შემდეგ დაემატოს სიტყვები: „აგრეთვე აირჩიოს და იყოს არჩეული ადვოკატთა კოლეგიის ორგანოებში".

15. მუხლი 24-ე ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 24.** ადვოკატთა კოლეგიის ხელმძღვანელი ორგანოებია:

ა) ადვოკატთა კოლეგიის წევრთა საერთო კრება (კონფერენცია);

ბ) ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი;

გ) სარევიზიო კომისია.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ადვოკატთა კოლეგიები იწვევენ საერთო კრებებს, ხოლო საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგია კი — კონფერენციას".

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. მუხლი 25-ე ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 25.** ადვოკატთა კოლეგიის უმაღლესი ორგანო არის კოლეგიის წევრთა საერთო კრება (კონფერენცია).

საერთო კრება (კონფერენცია) მოიწვევა წელიწადში ერთხელ და უფლებამოსილად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს კოლეგიის წევრთა (დელეგატთა) არა ნაკლებ ორი მესამედისა.

რიგგარეშე საერთო კრება (კონფერენცია) შეიძლება მოწვეულ იქნეს ადვოკატთა კოლეგიის წევრთა შემადგენლობის ერთი მესამედის მოთხოვნით, ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის წინადადებით.

ადვოკატთა კოლეგიის წევრთა კონფერენცია მოიწვევა იმ ნორმის მიხედვით, რომელსაც ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი დაადგენს.

იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატთა კოლეგიის წევრთა საერთო კრების (კონფერენციის) გადაწყვეტილება არ შეესაბამება კანონსა და ამ დებულებას, იგი შეიძლება გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის მიერ“.

17. მუხლი 26-ე ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 26.** ადვოკატთა კოლეგიის წევრთა საერთო კრება (კონფერენცია):

ა) ირჩევს ღია კენჭისყრით ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს და სარევიზიო კომისიის შემადგენლობას სამი წლის ვადით, კრების მიერ განსაზღვრული რაოდენობით;

ბ) ისმენს და ამტკიცებს კოლეგიის პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშებს მათი საქმიანობის შესახებ და იღებს გადაწყვეტილებებს ადვოკატთა კოლეგიის მუშაობის საკითხებზე;

გ) ამტკიცებს შტატებს, კოლეგიის შემოსავლისა და გასავლის ხარჯთაღრიცხვას, ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმისა და იურიდიული კონსულტაციების ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის თანამდებობრივ ხელფასებს, ადვოკატთა გამომუშავებიდან ანარიცხების ოდენობას ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შესანახად და ადვოკატთა შვებულების ანაზღაურებლად.

ანარიცხების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რაიონის, ქალაქის იურიდიულ კონსულტაციებში შემოსული თანხის 30 პროცენტს.

დ) პროფკავშირულ ორგანოებთან შეთანხმებით ამტკიცებს ადვოკატთა კოლეგიის შინაგანაწესს;

ე) უფლება აქვს ღია კენჭისყრით ვადაზე ადრე გაიწვიოს პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიის ის წევრები, რომელნიც ვერ გაამართლებენ ნდობას;

ვ) განიხილავს სხვა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ადვოკატთა კოლეგიის საქმიანობასთან“.

18. მუხლი 28-ე ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 28.** საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ადვოკატთა კოლეგიების პრეზიდიუმები:

ა) იწვევენ ადვოკატთა კოლეგიის წევრთა საერთო კრებებს (კონფერენციებს);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) აწყობენ იურიდიულ კონსულტაციებს და ხელმძღვანელობენ მათ საქმიანობას, ამოწმებენ იურიდიული კონსულტაციებისა და ცალკეული ადვოკატების მუშაობას;

გ) აწარმოებენ ადვოკატთა კოლეგიის წევრად და სტაჟიორად მიღებას, აწყობენ სტაჟირების გავლას, აწარმოებენ ადვოკატების განაწილებას კონსულტაციებში სამუშაოდ, აგრეთვე კოლეგიის წევრებიდან და სტაჟიორთა რიგებიდან განთავისუფლებას ან გარიცხვას;

დ) ნიშნავენ და ათავისუფლებენ სამუშაოდან იურიდიული კონსულტაციების გამგეებს;

ე) შეიმუშავებენ იურიდიული კონსულტაციების შტატებს და ხარჯთაღრიცხვებს და წარადგენენ მათ ადვოკატთა კოლეგიის წევრთა საერთო კრების (კონფერენციის) დასამტკიცებლად;

ვ) ატარებენ ღონისძიებებს კოლეგიის წევრთა იდეურ-პოლიტიკური დონისა და იურიდიული კვალიფიკაციის ასამაღლებლად, აწყობენ ადვოკატთა მონაწილეობას საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდაში, ახორციელებენ კონტროლს ადვოკატთა მუშაობის ხარისხისადმი;

ზ) უწევენ საჭირო სამართლებრივ დახმარებას ამხანაგურ სასამართლოებს და ნებაყოფლობით სახალხო რაზმებს;

თ) აწყობენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების იურიდიულ მომსახურებას;

ი) საადვოკატო პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე აწყობენ დანაშაულებრივ გამოვლინებათა და კანონიერების სხვა დარღვევათა მიზეზების შესწავლას და წინადადებანი შეაქვთ სათანადო ორგანოებში სამართლის ნორმების დარღვევათა აღმოსაფხვრელად;

კ) კონტროლს უწევენ იმას, თუ როგორ სრულდება ადვოკატების მიერ გაწეული იურიდიული დახმარების ანაზღაურების წესი;

ლ) განიხილავენ საქმეებს კოლეგიის წევრების დისციპლინური გადაცდომების შესახებ და დამნაშავეებს დაადებენ დისციპლინურ სასჯელს;

მ) განაგებენ კოლეგიის სახსრებს ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;

ნ) წარმოადგენენ ადვოკატთა კოლეგიებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში;

ო) აწარმოებენ სტატისტიკურ და საფინანსო ანგარიშიანობას დადგენილი ფორმების მიხედვით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას წარუდგენენ ანგარიშებს ადვოკატთა კოლეგიების საქმიანობის შესახებ;

პ) შეიმუშავებენ პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად ადვოკატთა კოლეგიის შრომის შინაგანაწესს და ახორციელებენ კონტროლს მის შესრულებაზე;

ჟ) იღებენ ზომებს ადვოკატთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის".

19. დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მუხლი 28-ა.

„**მუხლი** 28-ა. საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი ხელმძღვანელობას და კონტროლს უწევს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ადვო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კატთა კოლეგიების პრეზიდიუმების საქმიანობას, განიხილავს საჩივრებს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ადვოკატთა კოლეგიების პრეზიდიუმების გადაწყვეტილებებზე და უფლება აქვს გააუქმოს მათი გადაწყვეტილებანი, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან კანონს და ამ დებულებას".

20. მუხლი 34-ე ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 34.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას შეუძლია გააუქმოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის ის გადაწყვეტილება, რომელიც არ შეესაბამება კანონს და ამ დებულებას".

21. მუხლი 35-ე ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 35.** ადვოკატთა კოლეგიის წევრთა მუშაობის ორგანიზაციისათვის ქალაქებსა და რაიონებში იქმნება იურიდიული კონსულტაციები, რომლებიც სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებებით, აქვთ საკუთარი ბეჭედი და შტამპი.

იურიდიული კონსულტაციის რიცხობრივ შემადგენლობას ადგენს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი.

იურიდიული კონსულტაციების ადგილსამყოფელს ადგენენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ქალაქებსა და რაიონებში ავტონომიური რესპუბლიკების ადვოკატთა კოლეგიების პრეზიდიუმები, რასაც შემდგომში ამტკიცებენ შესაბამისად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქალაქებსა და რაიონებში — საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი, რასაც ამტკიცებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასკომი, ხოლო საქართველოს სსრ ქალაქებსა და რაიონებში — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი, რასაც შემდგომში ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია".

22. 38-ე მუხლის „ვ" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ანაწილებს სამუშაოს ადვოკატთა შორის საქმის სირთულის, ადვოკატის დატვირთვისა და კვალიფიკაციის მხედველობაში მიღებით, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში კლიენტის პერსონალური მოთხოვნით".

23. 39-ე მუხლს სიტყვების: „კოლეგიის პრეზიდიუმის" შემდეგ დაემატოს სიტყვები: „ადგილობრივ პროფკავშირულ ორგანიზაციასთან შეთანხმებით".

24. დაემატოს დებულებას შემდეგი შინაარსის მუხლი 45-ა:

„**მუხლი 45-ა.** დისციპლინური სასჯელის დადების ან კოლეგიიდან გარიცხვის შესახებ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის დადგენილების გასაჩივრება შეიძლება ერთი თვის ვადაში საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმში, ხოლო ამ უკანასკნელის დადგენილების — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიაში.

იურიდიული კომისიის გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საბოლოოა".

25. მუხლი 46-ე ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 46.** თუ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი ამ დებულების 41-ე მუხლში ჩამოთვლილ დისციპლინური სასჯელის ღონისძიებებს ჩათვლის არასაკმარისად, როგორც უკიდურესი ზომა გამოყენებული იქნება ადვოკატთა კოლეგიიდან გარიცხვა.

კოლეგიის შემადგენლობიდან ადვოკატის გარიცხვას შეიძლება დაედოს შემდეგი საფუძველი:

ა) ადვოკატის მიერ დანაშაულის ჩადენა, რაც დადგენილია კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით;

ბ) საადვოკატო საქმიანობისათვის ადვოკატის მიერ იურიდიული კონსულტაციის გარეშე ფულადი ანაზღაურების მიღება;

გ) ისეთი გადაცდომის ჩადენა, რაც სახელს უტეხს საბჭოთა ადვოკატის წოდებას და პროფესიული მოვალეობის არაკეთილსინდისიერად შესრულება“.

26. 47-ე მუხლის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ადვოკატთა კოლეგიის სახსრები შეიქმნება იმ ანაზღაურების ანარიცხებიდან, რომელსაც მიიღებენ ადვოკატები, ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიეკუთვნებათ მათ იურიდიული დახმარების გაწევისათვის და სხვა შენატანებიდან“.

27. ამოღებულ იქნეს საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების დებულებიდან 21-ე და 37-ე მუხლები.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ჭვაძაძე.**

თბილისი, 1965 წლის 28 აგვისტო.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 510 სოფლად მცხოვრები მოსწავლეების უფასოდ მგზავრობის შესახებ

„სოფლად მცხოვრები მოსწავლეების უფასოდ მგზავრობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 9 ივლისის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. 1965 წლის 1 სექტემბრიდან ყველგან საქართველოს სს რესპუბლიკაში შემოღებულ იქნეს რეგულარული უფასო მგზავრობა სკოლამდე და უკან, საცხოვრებელ ადგილამდე, დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც სოფლად ცხოვრობენ.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეიმუშაოს და განახორციელოს მოსწავლეთა უფასო მგზავრობის შემოღებასთან დაკავშირებული საჭირო ღონისძიებანი და უზრუნველყოს მათი გატარება რესპუბლიკის ბიუჯეტის ფარგლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეთა უფასოდ გადაყვან-გადმოყვანის ორგანიზაციის დროს გამოყენებული უნდა იყოს სამარშრუტო ავტობუსები, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოო-დაწესებულებების ტრანსპორტი, საგარეუბნო და ადგილობრივი მატარებლები, აგრეთვე კოლმეურნეობათა სატრანსპორტო საშუალებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჩაძე.

თბილისი, 1965 წლის 28 აგვისტო.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 511 საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ სამართლებრივი აქტების გამოცემის დროს კანონიერების დაცვის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ პროკურორის ამხ. პ. ე. ბერძენიშვილის მოხსენება, აგრეთვე პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხებისა და იურიდიული განყოფილებების მიერ შემოწმებული მასალები, აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ გარკვეული მუშაობაა ჩატარებული „მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 25 დეკემბრის დადგენილების შესასრულებლად. ამის შედეგია, რომ უკანასკნელ პერიოდში მიღებული სამართლებრივი აქტები ძირითადად სწორია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ადგილი აქვს კანონსაწინააღმდეგო აქტების მიღების შემთხვევებს.

1964 წელს პროკურატურის ორგანოებმა პროტესტი შეიტანეს მმართველობის ორგანოების 407 უკანონო აქტის გამო, ხოლო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ასეთი აქტების გამო შეტანილ იქნა 388 პროტესტი, მათ შორის საბჭოების გადაწყვეტილებებზე — 40, ხოლო კოლმეურნეობებში მიღებული აქტების გამო — 207 .

ზოგიერთი რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშაკები კვლავ ვერ ერკვევიან მოქმედ კანონმდებლობაში, ამეტებენ თავის უფლებამოსილებას და იღებენ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყვეტილებებს, რომლის დარღვევისათვის აწესებენ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას — ჯარიმას, მაშინ, როცა ეს უფლება მინიჭებული აქვს საოლქო, საქალაქო და რაიონულ საბჭოებს.

ასე მაგალითად, ბოლნისის რაიონული საბჭოს აღმასკომმა 1965 წლის 24 მაისს მიიღო ოთხი გადაწყვეტილება: საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის პასუხისმგებლობის, სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების, მწვანე ნარგავთა დაცვისა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ბავშვთა და მოზარდთა ქცევის შესახებ და ამ გადაწყვეტილებების დარღვევისათვის დააწესა ჯარიმა.

ზოგიერთი საბჭოს აღმასკომი იღებს გადაწყვეტილებას, რომლითაც ზღუდავს მოქალაქეთა კანონით დაცულ უფლებებსა და ინტერესებს. ქობულეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა 1965 წლის 21 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც აკრძალა კოლმეურნეობებში ახალი წევრების მიღება სოფლის ასბჭოს ნებართვის გარეშე. დუშეთის რაიონის ფასანაურის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა 1965 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებით დაავალა საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებს თავიანთი სამეურნეო ხარჯებიდან გამოყონ თანხები, რომ ხელფასი მიეცეს მეეზოვეს. ბათუმის რაიონის კახაბრის სასოფლო საბჭოს აღმასკომის 1964 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. ბერიძეს ჩამოერთვა ცხენი და ჩაბარდა „ცხოველდამზადების“ პუნქტს ნათესების წანახედის გამო.

რესპუბლიკის ზოგიერთ კოლმეურნეობებში ირღვევა მართვის დემოკრატიული პრინციპები, არტელის წესდება და ცალკეულ კოლმეურნეთა უფლებები. ასე მაგალითად, დუშეთის რაიონის ჟინვალის „300 არაგველის“ სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ 1965 წლის 11 მაისის დადგენილებით გაათავისუფლა სარევიზიო კომისის თავმჯდომარე და მის ნაცვლად დაამტკიცა ახალი. ზნაურის რაიონის სოფელ ტიგვის კოლმეურნეობის გამგეობამ სამუშაოდან გაათავისუფლა ბრიგადირი ვ. დილეტაშვილი და დააჯარიმა იგი 30 შრომადღით დისციპლინის დარღვევისათვის. წყალტუბოს რაიონის სოფელ პატრიკეთის კოლმეურნეობის გამგეობის დადგენილებით გამოიყო ჯგუფი ღამით მოხეტიალე ცხენების გასანადგურებლად.

ქარელის, აბაშის, მაიაკოვსკის, ცხაკაიას და სხვა რაიონების კოლმეურნეობები არღვევენ მიწათსარგებლობის წესებს.

ზოგიერთ რაიონებში ირღვევა „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახედებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულება და წანახედებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას ძირითადად ახორციელებენ კოლმეურნეობათა გამგეობები საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილების გარეშე.

ბიბლიოთეკა

უკანონო სამართლებრივი აქტების უმრავლესობას შეადგენს საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა მიერ გამოცემული ბრძანებები, რომლებითაც ირღვევა შრომის კანონმდებლობა.

1964 წელს სასამართლო ორგანოებმა განიხილეს 1135 სასარჩელო განცხადება სამუშაოზე აღდგენის შესახებ, რომელთაგან 788 პირის თხოვნა, ე. ი. 70,4 პროცენტი დაკმაყოფილდა, მათ შორის აღდგენილია სამუშაოზე ქ. თბილისში 224 კაცი, აფხაზეთის ასსრ-ში — 112, აჭარის ასსრ-ში — 86, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 19. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც მიმდინარე წელს არის.

აღნიშნული უკანონო აქტების მიღება უპირველეს ყოვლისა გამოწვეულია იმის გამო, რომ ზემდგომი საბჭოთა ორგანოები ნაკლებ კონტროლსა და დახმარებას უწევენ დაქვემდებარებულ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, ზოგიერთი მუშაკი სუსტად ერკვევა მოქმედ კანონმდებლობაში, უწყებებსა, საწარმოებსა და ორგანიზაციებში სათანადო სიმაღლეზე არ დგას იურიდიული მომსახურების დონე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონულ და საქალაქო საბჭოებსა და მათ აღმასკომებს:

ა) გადაწყვეტილებებისა და განკარგულებების მიღებისას მტკიცედ დაიცვან მოქმედი კანონმდებლობა;

9774

ბ) სისტემატურად შეამოწმონ ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასკომების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების კანონიერება და სათანადო წესის დაცვით გააუქმონ ან შეასწორონ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები და განკარგულებები;

გ) იურიდიული სამსახურის ადგილობრივ მუშაკთა აქტიური მონაწილეობით მოაწყონ საბჭოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებისათვის სემინარები მოქმედი კანონმდებლობის ღრმად შესასწავლად;

დ) აამაღლონ საბჭოების მუდმივი კომისიების როლი სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში;

ე) რეგულარულად განიხილონ საბჭოების სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სოციალისტური კანონიერების დაცვასთან;

ვ) პრაქტიკაში დანერგონ საბჭოების იმ გადაწყვეტილებების განხილვა საზოგადოებრიობის მიერ, რომლებიც ითვალისწინებენ მათი დარღვევისათვის ადმინისტრაციული წესით პასუხისმგებლობას.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს მეტი ყურადღება მიაქციონ მათდამი დაქვემდებარებული ორგანოების მიერ მიღებული აქტების კანონიერებას.

3. საქართველოს სსრ პროკურატურამ გააძლიეროს საპროკურორო ზედამხედველობა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების, მათი აღმასკომებისა და მმართველობის ორგანოების მიერ მიღებული აქტების კანონიერებაზე, უზრუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველყოს სათანადო დასკვნების გამოტანა თანამდებობის იმ პირთა მიმართ, რომელნიც სისტემატურად არღვევენ სოციალისტურ კანონიერებას.

4. პროფესიული კავშირების საქართველოს რესპუბლიკურმა საბჭომ გააძლიეროს პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების პასუხისმგებლობა, რომ ისინი ქმედით კონტროლს უწევდნენ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის კანონმდებლობის განუხრელად შესრულებას.

5. საზოგადოება „ცოდნამ“ მეტი ყურადღება მიაქციოს მოსახლეობაში საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდის საქმეს.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიასთან ერთად გამოსცეს 1966 წლიდან ლიტერატურა საბჭოთა კანონმდებლობის შესახებ და საბჭოთა და მმართველობის ორგანოთა მუშაკებისათვის აუცილებელი საცნობარო მასალები ქართულ და რუსულ ენებზე.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ქმედითი კონტროლი დააწესოს ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების, მმართველობის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტების კანონიერებაზე; მიიღოს ზომები ადგილობრივი საბჭოების და მმართველობის ორგანოების მუშაკების სამართლებრივი ცოდნის ამაღლებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 28 აგვისტო.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 512 დეპუტატებთან და მუდმივ კომისიებთან ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და სიღნაღის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და სიღნაღის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა შესამჩნევად გააუმჯობესეს მუშაობა დეპუტატებთან და მუდმივ კომისიებთან.

დეპუტატებისა და მუდმივი კომისიებისათვის დახმარების გაწევის მიზნით აღმასკომები პერიოდულად ატარებენ საინსტრუქტაჟო ხასიათის თათბირ-სემინარებს, საუბრებს მუდმივი კომისიების უფლება-მოვალეობათა შესახებ, მუშაობის გამოცდილების გაზიარების მიზნით და სხვ.

წინა წლებთან შედარებით გააქტიურდა დეპუტატების და მუდმივი კომისიების მუშაობა. ისინი სისტემატურად მონაწილეობენ სესიებისა და აღმასკო-

მების სხდომებისათვის საკითხების მომზადებაში, მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან ცალკეულ დავალებათა შესრულებას.

ქუთაისის საქალაქო საბჭოს თითქმის ყველა დეპუტატმა მიიღო მონაწილეობა საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების საკითხის შესწავლაში, ხოლო სიღნაღის რაისაბჭოს 33 დეპუტატმა — რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საკითხის მომზადებაში.

აღმასკომები საჭირო დახმარებას უწევენ დეპუტატებსა და მუდმივ კომისიებს მათ წინაშე მდგარი საკითხების გადაჭრაში, სისტემატურად განიხილავენ მათ მიერ შემოტანილ საკითხებს და სახავენ სათანადო ღონისძიებებს მათ შესასრულებლად.

ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში მოწყობილია დეპუტატის ოთახი, სადაც ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობს; დაწესებულია დეპუტატთა მორიგეობა და ამომრჩევლებს შესაძლებლობა აქვთ ყოველთვის შეხვდნენ აქ თავიანთ დეპუტატებს. დეპუტატებს და აღმასკომს დაწესებული აქვს „დეპუტატის დღე“, მოქმედებს დეპუტატთა 53 საბჭო, რომლებიც გარკვეულ როლს ასრულებენ საზოგადოებრივი და სანიტარული წესრიგის დაცვის, კეთილმოწყობის, კულტსაგანმანათლებლო მუშაობის და სხვა საკითხების მოგვარება-გადაჭრაში.

საბჭოების აღმასკომთა დახმარებით მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან საბჭოების მუდმივი კომისიები, ისინი პერიოდულად სწავლობენ მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებს, განიხილავენ მათ და აუცილებლობის შემთხვევაში შეაქვთ აღმასკომის განსახილველად. ამასთან ისინი აქტიურად მონაწილეობენ საბჭოებისა და მათი აღმასკომების გადაწყვეტილებათა განხორციელების ორგანიზაციის საქმეში.

ამასთან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და სიღნაღის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს დეპუტატებთან და მუდმივ კომისიებთან მუშაობაში გააჩნიათ ზოგიერთი ნაკლოვანებანი.

სიღნაღის რაიონის წნორის სადაბო, ძველი ანაგის, ანაგის და ნუკრიანის სასოფლო საბჭოების აღმასკომებს საბჭოების დეპუტატებთან საინსტრუქტაჟო თათბირი არ ჩაუტარებიათ.

ქუთაისის საქალაქო და სიღნაღის რაიონის საბჭოების დეპუტატთა გარკვეული ნაწილი სუსტად ახორციელებს დეპუტატის უფლება-მოვალეობას, იშვიათად ხვდება თავისი საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებს, სისტემატური კავშირი არ აქვს მათთან. სიღნაღის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებში არ არის აღრიცხული ამომრჩეველთა მიერ წინასაარჩევნო კრებებზე წამოყენებული წინადადებები და განაწესები, აგრეთვე დეპუტატების მიერ სესიებზე შეტანილი წინადადებები და მათ მიერ შესრულებული ცალკეული დავალებანი. საანგარიშო პერიოდში არც რაიონული და არც მისი ქვემდგომი საბჭოების აღმასკომებს ამომრჩეველთა წინადადებებისა და შენიშვნის შესრულების მდგომარეობაზე არ უმსჯელიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ სუსტია დეპუტატების მონაწილეობა სესიებზე საკითხების განხილვაში. ასე მაგალითად, სიღნაღის რაიონის ნუკრიანის სასოფლო საბჭოს სესიაზე კოლმეურნეობებში საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ და განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიის მუშაობის შესახებ საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ თითო დეპუტატმა; ასევე ანაგის სასოფლო საბჭოს სესიაზე სოფლის კეთილმოწყობის შესახებ საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა დეპუტატმა.

სიღნაღის რაიონის მშრომელთა დეპუტატების არც ერთი საბჭოს აღმასკომში მოწყობილი არ არის დეპუტატის ოთახი.

ნაკლოვანებებია საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობაშიც. კომისიების გარკვეული ნაწილი ნაკლებად ამზადებს საკითხებს სესიის, აღმასკომების სხდომებისათვის.

ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საზოგადოებრივი წესრიგის და სოციალისტური კანონიერების მუდმივ კომისიას საანგარიშო პერიოდში აღმასკომის განსახილველად არც ერთი საკითხი არ შეუტანია, ხოლო საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივ კომისიას შეტანილი აქვს მხოლოდ 1 საკითხი.

სიღნაღის რაიონში ადგილი აქვს შემთხვევებს, როცა კომისიებს აღმასკომის განსახილველად შეაქვთ საკითხები თავიანთ სხდომაზე წინასწარ განუხილველად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და სიღნაღის მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოებს:

ა) პერიოდულად ჩაატარონ საბჭოების დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების თათბირ-სემინარები მათი უფლება-მოვალეობის საკითხებზე, აგრეთვე ლექცია-მოხსენებები საბჭოთა მშენებლობისა და სოციალისტური დემოკრატიზმის საკითხებზე;

ბ) პრაქტიკული დახმარება გაუწიონ დეპუტატებს საარჩევნო ოლქებში ამომრჩევლებთან შეხვედრების მოწყობაში, ამასთან მიიღონ სათანადო ზომები დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხების დროულად განხილვისათვის;

გ) ჯეროვანი დახმარება გაუწიონ მუდმივ კომისიებს, დაეხმარონ მათ საკითხების შესწავლაში და სხდომების ჩატარებაში, მხარი დაუჭირონ მათ ინიციატივას; რეაგირების გარეშე არ დატოვონ მათ მიერ შემოტანილი საქმიანი წინადადებები;

დ) უზრუნველყონ ყველა დეპუტატის და მუდმივი კომისიის მონაწილეობა სესიებისა და აღმასკომის სხდომებისათვის საკითხების მომზადება-განხილვაში. მიაღწიონ იმას, რომ სესიებისა და აღმასკომების მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი დეპუტატების, მუდმივი კომისიებისა და აქტივის საშუალებით დაყვანილ იქნეს მოსახლეობამდე და ამ გადაწყვეტილებათა შესრულებაში ფართოდ ჩააბან მოსახლეობა;

ე) პერიოდულად შეისწავლონ და განიხილონ როგორ სრულდება დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების მიერ შეტანილი წინადადებები და შენიშვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნები ორგანიზაცია-დაწესებულებების მიერ და მიიღონ საჭირო ზომები, რათა მათი წინადადება უყურადღებოდ არ იქნეს დატოვებული;

ვ) პერიოდულად მოაწყონ შესაბამის საარჩევნო ოლქებში ძველი და ახალი მოწვევის დეპუტატთა შეხვედრები, დაეხმარონ მათ გამოცდილების გაზიარებაში, გააძლიერონ დეპუტატების კავშირი თვითმოქმედ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მოსახლეობის ფართო მასებთან;

ზ) მუშაობის გამოცდილების განზოგადების მიზნით ადგილობრივი გაზეთებისა და რადიოს საშუალებით სისტემატურად გააშუქონ დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების მუშაობა, ამასთან ამ საქმეში ფართოდ ჩააბან აღმასკომების ხელმძღვანელი მუშაკები, მუდმივი კომისიები და დეპუტატები.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს მიიღონ ზომები, რათა საანგარიშო წლის ბოლომდე უზრუნველყონ საბჭოების აღმასკომების და მუდმივი კომისიების ანგარიშების ჩაბარება სესიებისა და მოსახლეობისათვის, ხოლო დეპუტატებისა—ამომრჩევლებისათვის.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1965 წლის 28 აგვისტო.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 513 პროფესორ ა. ს. მენაბდისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორს ანა სპირიდონის ასულ **მენაბდეს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1965 წლის 28 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 514 საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ **საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის** საპატიო წოდება:

1. გიორგი მინას ძე **აბაშიძეს** — პენსიონერს.
2. ქეთევან გიორგის ასულ **აბაშიძეს** — მარნეულის რაიონის თამარისის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
3. ანა ფარნაოზის ასულ **აბგაროვას** — თბილისის მე-6 მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.
4. ვერა ანტონის ასულ **აბულაძეს** — ზესტაფონის რაიონის კლდეეთის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.
5. ლუბა იოსების ასულ **აბუსერიძეს** — თეთრიწყაროს საბავშვო ბაღის გამგეს.
6. მიხეილ მიხეილის ძე **აივაზიშვილს** — თელავის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს.
7. მკრტიჩ არამის ძე **აზნავურიანს** — ახალქალაქის რვაწლიანი სკოლის დირექტორს.
8. ასია ზინოვის ასულ **აიზენბერგს** — თბილისის მე-4 მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.
9. ვერა ილიას ასულ **ალანიას** — თბილისის 47-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
10. ბორის ბაგრატის ძე **ამირხანოვს** — თბილისის მე-9 მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.
11. სიმონ არშაკის ძე **ანჯელიანს** — ახალციხის მესამე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.
12. ლუბა ალექსანდრეს ასულ **არევაძეს** — გარდაბნის რკინიგზის № 33 დაწყებითი სკოლის გამგეს.
13. ქეთევან გიორგის ასულ **არველაძეს** — ქუთაისის რკინიგზის № 23 საბავშვო ბაღის გამგეს.
14. ქევსერ სეიდის ასულ **ართმელაძეს** — ქობულეთის რაიონის ხუცუბნის დაწყებითი სკოლის გამგეს.
15. ანუშავან ხაჩატურის ძე **არუთინიანს** — თბილისის 95-ე საშუალო სკოლის დირექტორს.
16. არჩილ ნიკოლოზის ძე **არჩვაძეს** — თბილისის 65-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.
17. ელენე აბრამის ასულ **ასათიანს** — თბილისის რკინიგზის № 1 საბავშვო ბაღის აღმზრდელს.
18. მარიამ ბესარიონის ასულ **ახობაძეს** — თბილისის დ. არაყიშვილის სახელობის პირველი მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

19. ილია იასონის ძე **ბაკაშვილს** — გურჯაანის საშუალო სკოლის დირექტორს.

20. ისაკ მეთოდეს ძე **ბაკურაძეს** — პენსიონერს.

21. მანუილ ლავრენტის ძე **ბარბაქაძეს** — ქუთაისის მესამე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

22. გერონტი ისაკის ძე **ბასილაშვილს** — თბილისის მე-12 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

23. ბორის დავითის ძე **ბაუმბერგს** — თბილისის 81-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

24. შალვა გრიგოლის ძე **ბახტაძეს** — თბილისის მუშა-ახალგაზრდობის რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლის მასწავლებელს.

25. ნინო ნიკოლოზის ასულ **ბებურიშვილს** — თბილისის 37-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

26. ანა სიმონის ასულ **ბეჟანიშვილს** — თბილისის № 47 საბავშვო ბაღის აღმზრდელს.

27. სიმონ მიხეილის ძე **ბეროშვილს** — პენსიონერს.

28. ელფრიდა ივანეს ასულ **ბეროძეს** — პენსიონერს.

29. დავით პლატონის ძე **ბერძულიშვილს** — ტყიბულის მუშა-ახალგაზრდობის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.

30. ივანე ანდრიას ძე **ბორისენკოს** — ა/კ სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს სასკოლო ინსპექტორს.

31. ლიდა აბრამის ასულ **ბორისოვსკაიას** — თბილისის მე-9 მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.

32. ტატიანა ანტონის ასულ **ბუცხრიკიძეს** — თბილისის 58-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

33. თამარ გერასიმეს ასულ **გაბელიას** — თბილისის რკინიგზის № 4 საბავშვო ბაღის გამგეს.

34. გაბრიელ ნიკოლოზის ძე **გაბიტაშვილს** — თბილისის 53-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

35. თამარ ალექსანდრეს ასულ **გაბუნიას** — ფოთის მე-6 საშუალო სკოლის დირექტორს.

36. ალექსანდრე ვასილის ძე **გაგლოევს** — ხაშურის რაიონის განათლების განყოფილების მეთოდისტს.

37. პავლე კონსტანტინეს ძე **გამყრელიძეს** — თბილისის მე-15 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

38. ელპიდა ნოეს ასულ **გეგენავას** — გალის რაიონის აჩიგვარის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.

39. მარიამ ეფრემის ასულ **გევონდიანს** — თბილისის მე-6 მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.

40. ანა თადეოზის ასულ **გერსამიას** — პენსიონერს.

41. დავით იონას ძე **გვალიას** — თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის მასწავლებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

42. თამარ მიხეილის ასულ **გვაჯიას** — ფოთის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.

43. სიმონ ნესტორის ძე **გვენცაძეს** — ამბროლაურის რაიონის ბარეულის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.

44. ზინა რომანოზის ასულ **გიგინეიშვილს** — ბათუმის მე-9 საშუალო სკოლის მასწვლებელს.

45. ვალერიან ვლადიმერის ძე **გობრონიძეს** — მახარაძის პირველი საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

46. ალექსი სოლომონის ძე **გოგელიას** — ქუთაისის ქალაქის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს.

47. ვლადიმერ ექვთიმეს ძე **გოგოლაძეს** — პენსიონერს.

48. ილია დავითის ძე **გოგოლაძეს** — ორჯონიკიძის რაიონის ვერტყვიჭალის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

49. ლეონტი ზოსიმეს ძე **გოგოხიას** — თბილისის 85-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

50. აკაკი ანანიას ძე **გოგუაძეს** — თბილისის საქალაქო პედკაბინეტის მეთოდისტს.

51. მიხეილ ისაკის ძე **გოგუაძეს** — თბილისის 112-ე საშუალო სკოლის დირექტორს.

52. პლატონ ანტონის ძე **გოლეთიანს** — პენსიონერს.

53. მოსე საულის ძე **გორგოძეს** — მაიაკოვსკის მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორს.

54. თამარ დავითის ასულ **გოფმანს**—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროს მასწავლებელს.

55. ანტონინა სიგიზმუნდის ასულ **გრძელიშვილს** — თბილისის მე-4 მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგს.

56. ნიკოლოზ ზაქარიას ძე **გურგენიძეს** — გორის რაიონის მეჯვრისხევის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

57. ნადია გიორგის ასულ **გუჯაბიძეს** — ქუთაისის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.

58. თამარ იოსების ასულ **დარახველიძეს** — თბილისის 29-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

59. შოთა მიხეილის ძე **დარახველიძეს** — თბილისის ი. გოგებაშვილის სახელობის პედსასწავლებლის დირექტორს.

60. სტეფანე პავლეს ძე **დარჯანიას** — გეგეჭკორის რაიონის ონოლიის საშუალო სკოლის დირექტორს.

61. გიორგი სერგის ძე **დოვლატბეგოვს** — თბილისის მე-2 მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.

62. ანაიდა ვასილის ასულ **ენიკოლოპოვას** — თბილისის მე-9 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

63. ნიკოლოზ სპადიერის ძე **ენუქიძეს** — თბილისის 36-ე საშუალო სკოლის დირექტორს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

64. გიორგი გიორგის ძე **ერქომაიშვილს** — თბილისის 66-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

65. ელენე ლაზარეს ასულ **ელერდაშვილს** — თბილისის 58-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

66. თამარ ყარამანის ასულ **ერქომაიშვილს** — მახარაძის ჩაის მრეწველობის ტექნიკუმის მასწავლებელს.

67. ზინა სერაფიონის ასულ **ესაძე-უგლავას** — ქუთაისის მაუდის ფაბრიკის საბავშვო ბაღის გამგეს.

68. გრიგოლ ისიდორეს ძე **ვაშაკიძეს** — სოფლის მეურნეობის მექანიზაციის და ელექტრიფიკაციის წულუკიძის ტექნიკუმის დირექტორს.

69. ივანე კონსტანტინეს ძე **ვაშაკიძეს** — ქუთაისის მე-8 საშუალო სკოლის დირექტორს.

70. იაკობ მოსეს ძე **ვორობეიჩიკს** — თბილისის 83-ე საშუალო სკოლის დირექტორს.

71. სერგო გრიგოლის ძე **ზურაბოვს** — თბილისის 31-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

72. ელენე ნიკოლოზის ასულ **თათეიშვილს** — ქუთაისის მე-20 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

73. მიხეილ თომას ძე **თოდრიას** — ჩოხატაურის რაიონის განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტის გამგეს.

74. მარგალიტა იოსების ასულ **თოფურიძეს** — თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის მასწავლებელს.

75. ნინო კონსტანტინეს ასულ **თოფურიძეს** — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკის საბავშვო ბაღის გამგეს.

76. გრეტა ანდრიას ასულ **კალანდაძეს** — თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროს მასწავლებელს.

77. აშოტ კარაპეტის ძე **კალანტარიანს** — სოხუმის მე-9 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

78. დავით ივანეს ძე **კალაძეს** — სამტრედიის რაიონის მელაურის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.

79. პოლიკარპე მიხეილის ძე **კანკიას** — თბილისის მე-18 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

80. გალინა სტეფანეს ასულ **კარსკაიას** — თბილისის დ. არაყიშვილის სახელობის პირველი მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგს.

81. ნინო ზაალის ასულ **კასოვსკაიას** — თბილისის მე-4 მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.

82. ვლასი კონსტანტინეს ძე **კაშიას** — თბილისის მე-5 საშუალო სკოლის დირექტორს.

83. სევერიანე ტარიელის ძე **კაშიას** — თბილისის პირველი საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

84. ელისაბედ ზაქარიას ასულ **კაჭკაჭევას** — თბილისის დ. არაყიშვილის სახელობის პირველი მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგს.

ბიბლიოთეკა

85. არჩილ ბესარიონის ძე **კახაიას** — ქუთაისის მე-17 საშუალო სკოლის დირექტორს.

86. ელენე იოსების ასულ **კევლიშვილს** — თბილისის № 3 საბავშვო ბაღის აღმზრდელს.

87. ზინა ანდრიას ასულ **კეშელავას** — ჩოხატაურის რაიონის შუაფარცხმის დაწყებითი სკოლის გამგეს.

88. გიორგი მახარობლის ძე **კვაჭაძეს** — თბილისის მე-13 საშუალო სკოლის დირექტორს.

89. ალექსანდრა ნიკოლოზის ასულ **კილასონიას** — თბილისის მე-3 მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.

90. ევგენია ბესარიონის ასულ **კლდიაშვილს** — თბილისის მე-17 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

91. რაფიელ მანუჩარის ძე **კორძახიას** — თბილისის მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

92. ნესტორ ასლანის ძე **კუბლაშვილს** — პენსიონერს.

93. ნუნუ (ნინო) ნოეს ასულ **კუკულაძეს** — თბილისის დ. არაყიშვილის სახელობის პირველი მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგს.

94. ალექსანდრე გიორგის ძე **კუკულდავას** — თბილისის მე-6 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

95. აკაკი ივანეს ძე **კუტივაძეს** — თბილისის 54-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

96. ნადეჟდა საბას ასულ **კუჭუხიძეს** — თბილისის მე-7 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

97. ელენე ბართლომეს ასულ **კუხიანიძეს** — მ. ბალანჩივაძის სახელობის ქუთაისის პირველი მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.

98. გიორგი ალექსის ძე **ლალუაშვილს** — ხაშურის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

99. დავით მათეს ძე **ლოლაძეს** — თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის მასწავლებელს.

100. იულია მიხეილის ასულ **ლოლაძეს** — ზესტაფონის მეორე საბავშვო ბაღის გამგეს.

101. თამარ იოსების ასულ **ლოლუას** — სოხუმის მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.

102. მარიამ ივანეს ასულ **ლომსაძეს** — ახალციხის მეორე რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელს.

103. ეკატერინე ალექსანდრეს ასულ **მაზმიშვილს** — გორის პირველი საშუალო სკოლის მაწსავლებელს.

104. ქიმაილ ფარამაზ ოღლი **მამედოვს** — მარნეულის რაიონის განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტის გამგეს.

105. ჯულიეტა სტეფანეს ასულ **მამიკონიანს** — თბილისის მხატვრული თვითმოქმედების კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებლის პედაგოგს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

106. გიორგი ილიას ძე **მანჩხაშვილს** — ხაშურის რაიონის ქვიშხეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

107. ქარუმ ნიკოლოზის ძე **მარგიევს** — პენსიონერს.

108. ვახტანგ გიორგის ძე **მაღლაკელიძეს** — თბილისის ცენტრალური მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.

109. ამირან იაგორის ძე **მეგრელიძეს** — თბილისის 30-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

110. გაგიკ არტაშეს ძე **მელკონიანს** — მარნეულის რაიონის შაუმიანის საშუალო სკოლის დირექტორს.

111. ილია ბესარიონის ძე **მელქაძეს** — თბილისის 26-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

112. დავით ნესტორის ძე **მერკვილაძეს** — თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის მასწავლებელს.

113. ბაბულია ალექსანდრეს ასულ **მესტვირიშვილს** — თელავის რაიონის კურდღელაურის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

114. არჩილ ლევანის ძე **მესხიძეს** — თბილისის 36-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

115. სოფიო ბესარიონის ასულ **მექვაბიშვილს** — პენსიონერს.

116. ბრონისლავ ალექსანდრეს ძე **მეშეკს** — თბილისის საოლქო ოფიცერთა სახლის ზოგადსაგანმანათლებლო საღამოს საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

117. ვერა სარდიონის ასულ **მიქაძეს** — თბილისის რკინიგზის № 1 საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელს.

118. იონა იაკობის ძე **მიქაძეს** — ცხაკაიას რაიონის ძველი სენაკის საშუალო სკოლის დირექტორს.

119. ალექსანდრე გერასიმეს ძე **მიშველაძეს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სასწავლო კომბინატის სოხუმის საანგარიშო-საბუღალტრო სკოლის დირექტორს.

120. თამარ მათეს ასულ **მჟავანაძეს** — თბილისის 30-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

121. ალი ჰუსეინ ოღლი **მურსაკულოვს** — პენსიონერს.

122. ლუსია იოსების ასულ **ნარიმანოვას** — სიღნაღის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

123. ემელიანე კონსტანტინეს ძე **ნაჭყებიას** — ზუგდიდის რაიონის ორსანტიის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

124. გურგენ თათევოსის ძე **ოვანესიანს** — თბილისის 21-ე საშუალო სკოლის დირექტორს.

125. გიორგი გრიგოლის ძე **ოქროაშვილს** — თბილისის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.

126. დომენტი აქვსენტის ძე **ოჩიგავას** — თბილისის მე-14 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

127. ელენე ვიქტორის ასულ **პავლოვა-მიქელაძეს** — თბილისის მ. ბალანჩივაძის სახელობის მე-4 მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგს.

128. ანა სტეფანეს ასულ **პირკულოვას** — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის მე-2 მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგს.

129. ვერა ნიკოლოზის ასულ **პოლიხრონოვას** — წალკის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

130. რუზანა არკადის ასულ **პოლოსოვას** — თბილისის მე-10 მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.

131. ემელიანე ესტატეს ძე **ჟღენტს** — ბათუმის რაიონის განთიადის რვაწლიანი სკოლის დირექტორს.

132. აპოლონ გაბრიელის ძე **რამიშვილს** — მახარაძის რაიონის ცხემლისხიდის საშუალო სკოლის დირექტორს.

133.მიხეილ სერაფიონის ძე **რამიშვილს** — მცხეთის რაიონის მუხრანის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

134. პელაგია სევასტის ასულ **რატიანს** — პენსიონერს.

135. ნადეჟდა სიმონის ასულ **რევუნენკოვას** — ქუთაისის მე-13 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

136. ლუბა ალექსანდრეს ასულ **როვნერ-შნაიდერს** — თბილისის მე-6 მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.

137. სამსონ ზაქარიას ძე **როინიშვილს** — თბილისის 62-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

138. ვიქტორ ისიდორეს ძე **რუსეიშვილს** — ბათუმის № 1 სკოლა-ინტერნატის მასწავლებელს.

139. ლონგინოზ დიმიტრის ძე **რუხაძეს** — თბილისის 29-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

140. შალვა პლატონის ძე **სალუქვაძეს** — თბილისის მუშა-ახალგაზრდობის მე-11 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

141. ვარლამ ანანიას ძე **სარავას** — ქუთაისის რკინიგზის № 11 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

142. ნადეჟდა ილარიონის ასულ **სვანიძეს** — თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

143. სევერიან მელიტონის ძე **სვანიძეს** — პენსიონერ.ს.

144. გიორგი ილიას ძე **სიბაშვილს** — თბილისის 112-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

145. გალინა კონსტანტინეს ასულ **სიგოდინას** — ბოგდანოვკის რაიონის ორლოვკის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.

146. მიხეილ ვლადიმერის ძე **სიხარულიძეს** — თბილისის მუშა-ახალგაზრდობის 28-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

147. სერგი დავითის ძე **სოლოგოვს** — თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებლის პედაგოგს.

148. ვახტანგ იაკობის ძე **სონღულაშვილს** — გარდაბნის რაიონის დიღმის საშუალო სკოლის დირექტორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

149. ირინა (ქნარიკ) მირონის ასულ **სტეფანიანს** — ახალქალაქის რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელს.

150. გიორგი ივანეს ძე **სუსარეიშვილს** — სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

151. გრიგოლ ლეონტის ძე **სხირტლაძეს** — სადგ. ხაშურის რკინიგზის № 3 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

152. სიმონ მელიტონის ძე **სხირტლაძეს** — თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებლის პედაგოგს.

153. ვერა ალექსანდრეს ასულ **ტუჩაშვილს** — ყაზბეგის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

154. ევგენია იაგორის ასულ **უშვერიძეს** — თეთრიწყაროს რაიონის ერტისის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.

155. ქეთევან სიმონის ასულ **ფაღავას** — ჭიათურის მეორე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

156. მარიამ სიმონის ასულ **ფირცხალაიშვილ-ფილიას** — ლანჩხუთის რაიონის ნიგოითის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

157. ნადეჟდა იაკობის ასულ **ქავთარაძეს** — პენსიონერს.

158. შალვა სარდიონის ძე **ქაჯაიას** — თბილისის 39-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

159. ლიზა ილარიონის ასულ **ქაჯაიას** — თბილისის 70-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

160. ბესარიონ მიხეილის ძე **ქირიას** — პენსიონერს.

161. თამარ ნიკოლოზის ასულ **ქუთათელაძეს** — თბილისის მ. ბალანჩივაძის სახელობის მე-4 მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგს.

162. გივი ვიქტორის ძე **ღლონტს** — მუშა-ახალგაზრდობის რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

163. ივლიტა იოსების ასულ **ყანჩაველს** — თბილისის მე-2 მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.

164. ალექსანდრე სერგის ძე **შაგინოვს** — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის მე-2 მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგს.

165. ამბროსი ტერენტის ძე **შარვაძეს** — თბილისის ცენტრალური მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.

166. ევლამპი ზოსიმეს ძე **შანიძეს** — თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის მასწავლებელს.

167. იაკობ სტეფანეს ძე **შახრამანოვს** — თბილისის 86-ე საშუალო სკოლის დირექტორს.

168. თამარ გიორგის ასულ **შენგელიას** — ზემო-ავჭალის მუშა-ახალგაზრდობის საღამოს სკოლის მასწავლებელს.

169 თამარ სერგის ასულ **შერმაზანოვას** — თბილისის მე-9 მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.

170. შალვა ამბაკოს ძე **ჩაგინავას** — წალენჯიხის რაიონის განათლების განყოფილების პედაგოგიური კაბინეტის გამგეს.

171. ანატოლი ერასტის ძე **ჩანტლაძეს**—თბილისის მე-14 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

172. ქრისტინე ალექსის ასულ **ჩაჩანიძეს** — პენსიონერს.

173. ნიკოლოზ ივანეს ძე **ჩერნიშევს** — ზემო-ავჭალის მუშა-ახალგაზრდობის სალამოს სკოლის მასწავლებელს.

174. ვალერიან შერმანდის ძე **ჩიკაშუას** — ლანჩხუთის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს.

175. პროკოფი პროკოფის ძე **ჩიქვინიძეს** — მაიაკოვსკის მაიაკოვსკის სახელობის საშუალო სკოლის დირექტორს.

176. ვერა გრიგოლის ასულ **ჩიქოვანს** — პენსიონერს.

177. ვერა ევგენის ასულ **ჩიქოვანს** — თბილისის მე-9 მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.

178. კალისტრატე ექვთიმეს ძე **ჩხაიძეს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სასწავლო კომბინატის დირექტორის მოადგილეს.

179. თამარ სტეფანეს ასულ **ჩხეიძეს** — პენსიონერს.

180. მარიამ დიმიტრის ასულ **ჩხეიძეს** — ახალციხის სკოლა-ინტერნატის აღმზრდელს.

181. აკაკი სერგის ძე **ჩხიკვიშვილს**—თბილისის დ. არაყიშვილის სახელობის პირველი მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგს.

182. ელენე ივანეს ასულ **ჩხიკვიშვილს** — თბილისის 50-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

183. ხარიტონ გაბრიელის ძე **ციცხვაიას** — საგარეჯოს რაიონის გომბორის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

184. ვალენტინა იასონის ასულ **ცოტაძეს** — სადგ. სამტრედიის რკინიგზის № 13 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

185. ვარლამ ისიდორეს ძე **ცხაკაიას** — გეგეჭკორის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს.

186. ლუბა ლუკას ასულ **ძაგნიძეს** — ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

187. ერემია თევდორეს ძე **ძაძუას** — პენსიონერს.

188. ევსევი ალექსის ძე **წითლიძეს** — შორაპნის რკინიგზის № 8 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

189. დიმიტრი კონსტანტინეს ძე **ჭავჭანიძეს** — ბორჯომის რაიონის პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმის დირექტორს.

190. გრიგოლ დიმიტრის ძე **ჭანიშვილს** — პენსიონერს.

191. დავით ანდრიას ძე **ჭედიას** — სამტრედიის მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორს.

192. ალექსანდრე ვასილის ძე **ჭელიძეს** — თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის მასწავლებელს.

193. გულნარა ალისტრახოს ასულ **ჭუმბურიძეს** — ტყიბულის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.

194. ალექსანდრე ივანეს ძე **ჭურაძეს** — თბილისის მუშა-ახალგაზრდობის № 17 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

195. ხალამპრე ივანეს ძე **ხავთასს** — მახარაძის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს.

196. დავით კარპოს ძე **ხამაშურიძეს** — მაიაკოვსკის რაიგანათლების განყოფილების პედკაბინეტის გამგეს.

197. ანა მაქსიმეს ასულ **ხარებოვას** — ცხინვალის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

198. ამალია ზაქარიას ასულ **ხატისოვას** — მცხეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

199. სერგი ივანეს ძე **ხაჩატუროვს** — თბილისის მე-9 მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.

200. პარმენ სილიბისტროს ძე **ხელაძეს** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროს მასწავლებელს.

201. შუშანა ნესტორის ასულ **ხელაძეს** — ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

202. გრიგოლ ბესარიონის ძე **ხიდეშელს** — თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის მასწავლებელს.

203. მარგარიტა ალექსანდრეს ასულ **ხინთიბიძეს** — თბილისის უსინათლო ბავშვთა საშუალო სკოლა-ინტერნატის აღმზრდელს.

204. გიორგი ანტონის ძე **ხოხლენკოს** — მახარაძის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.

205. მარიამ ვაგარშაკის ასულ **ხოეციანს** — თბილისის დ. არაყიშვილის სახელობის პირველი მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგს.

206. ბაგრატ დავითის ძე **ხორავას** — გალის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს.

207. კლავდია თეოფანეს ასულ **ხუჯაძეს** — ქუთაისის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.

208. ელენე ბარნაბის ასულ **ჯანელიძეს** — ქუთაისის მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

209. შალვა ლაზარეს ძე **ჯანჯღავას** — ცხაკაიას რაიონის ძველი სენაკის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

210. ალექსანდრე სამსონის ძე **ჯაფარიძეს** — თერჯოლის რაიონის ზედა სახანის საშუალო სკოლის დირექტორს.

211. ივანე ვასილის ძე **ჯაფარიძეს** — ქ. თბილისის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

212. მარიამ რომანოზის ასულ **ჯაფარიძეს** — პენსიონერს.

213. ლიზა გერმანეს ასულ **ჯაჯანიძეს** — მ. ბალანჩივაძის სახელობის ქუთაისის მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.

214. არშავირ სარქისის ძე **ჯიდარიანს** — სოხუმის მე-9 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

215. ანდრია ზურაბის ძე **ჯოლბორდს** — გორის რაიონის ძევერის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

216. ლევან ივლონის ძე **ჯორჯიკიას** — ქალაქ სოხუმის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი.

1965 წლის 28 აგვისტო.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 515 ამხ. მ. დ. ჩუბინიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით ამხ. მირონ დიმიტრის ძე **ჩუბინიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი.

1965 წლის 28 აგვისტო.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 516 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის" დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდეს მილიციის სერჟანტი ივანე ნიკოლოზის ძე **ბაიაშვილი** მედლით **„წყალწაღებულთა გადარჩენისათვის"**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი.

1965 წლის 28 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 517 ამხ. კ. გ. სოხაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საფინანსო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგე ამხ. კონსტანტინე გიორგის ძე **სოხაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი.
1965 წლის 2 სექტემბერი.

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის სხდომა.

ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიამ განიხილა ორი საკითხი

1. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში „ქ. თბილისის მოსახლეობაში მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი მუშაობის მდგომარეობისა და რესპუბლიკაში მისი დანერგვა-განვითარების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 26 დეკემბრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

2. ქრონიკული ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

ორივე საკითხზე მოხსენება გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა პ. გ. გელბახიანმა.

აღნიშნული საკითხების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ ზ. კახიანმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სპორტული საზოგადოებების და ორგანიზაციების კავშირის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ კ. კოჩიევმა, კომისიის წევრებმა: გ. სიხარულიძემ, თ. მოსაშვილმა, ზ. მუშკუდიანმა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ორივე საკითხი შეიტანოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად.